სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 26

2023 წლის 9 მარტი

ქ. თბილისი

2023 წლის საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების მწვრთნელთა გუნდის დამტკიცების თაობაზე

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, „2023 წლის საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების შერჩევის, მომზადებისა და საერთაშორისო ოლიმპიადებში მათი მონაწილეობის ადმინისტრირების უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2023 წლის 7 მარტის N23 ბრძანებით დამტკიცებული „2023 წლის საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების შერჩევის, მომზადებისა და საერთაშორისო ოლიმპიადებში მონაწილეობის ადმინისტრირების პროცედურები და პირობების“ პირველი მუხლის მე-10 პუნქტისა და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის უფროსის - მაია ქაჯაიას სამსახურებრივი ბარათის (N270451, 09.03.2023) საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს საქართველოს ნაკრები გუნდის მწვრთნელები შემდეგი შემადგენლობით:

ა) მათემატიკაში:

ა.ა) ლიდერი - გიორგი ჭელიძე (ფიზიკა - მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი);

ა.ბ) თანალიდერი - გივი ნადიბაიძე (ფიზიკა - მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, ასისტენტ პროფესორი);

ა.გ) ასისტენტი - გიორგი სვანაძე (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის დოქტორანტი მათემატიკის მიმართულებით).

ბ) ფიზიკაში:

ბ.ა) ლიდერი - რამაზ ხომერიკი (ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი);

ბ.ბ) თანალიდერი - გრიგოლ ფერაძე (ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორი);

ბ.გ) ასისტენტი - გიორგი ბახტაძე (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ბაკალავრიატის სტუდენტი).

გ) ინფორმატიკაში:

გ.ა) ლიდერი - გიორგი მანდარია (პედაგოგოკის მეცნიერებათა დოქტორი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საქართველოს უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი);

გ.ბ) თანალიდერი - ბაქარ გამეზარდაშვილი (სსიპ - ვლადიმერ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მატემატიკის N199 საჯარო სკოლის ინფორმატიკის წრის ხელმძღვანელი, თავისუფალი უნივერსიტეტის მათემატიკის და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი);

გ.გ) ასისტენტი - გურამ ქოთოლაშვილი (კავკასიის უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი).

დ) ბიოლოგიაში:

დ.ა) ლიდერი - ეკატერინე ბაკურაძე (ბიოლოგიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი);

დ.ბ) თანალიდერი - ირინა მოდებაძე (ბიოლოგიის დოქტორი; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი);

დ.გ) ასისტენტი - ნანა ბარნაველი (ბიოლოგიის დოქტორი; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი);

ე) ქიმიაში:

ე.ა) ლიდერი - ელიზბარ ელიზბარაშვილი (ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი);

ე.ბ) თანალიდერი - ვახტანგ კურცხალია (ქიმიის დოქტორი);

ე.გ) ასისტენტი - თინათინ ბუთხუზი (ქიმიის დოქტორი).

2. დაევალოს ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის მთავარ სპეციალისტს ამ ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება.

3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

ერეკლე ასტახიშვილი